

გეოსაინფორმაციო პაკეტი

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი																																																						
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი – მდ. დოლოგანის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება																																																						
2	გენეტიკური ტიპი – დანალექი (ალუვიონი)																																																						
3	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი – სამშენებლო																																																						
4	წიაღითსარგებლობის ობიექტის მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა																																																						
4.1	რეგიონი – აჭარა																																																						
4.2	მუნიციპალიტეტი – ქედა																																																						
4.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი – სოფ. ჭალახმელა, სოფ. დოლოგანი																																																						
4.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან – რ/ც ქედიდან სამხრეთ-დასავლეთით 14-15 კმ (პირდაპირი მანძილი)																																																						
4.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან / ზღვის სანაპირო ზოლიდან – ზღვის სანაპირო ზოლიდან – 18750 მ; სახელმწიფო საზღვრიდან – 8100 მ																																																						
4.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) – მდ. დოლოგანი (მდ. ბზანა)																																																						
4.7	წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები –<table><tr><th>№</th><th>X</th><th>Y</th></tr><tr><td>1</td><td>732176</td><td>4602924</td></tr><tr><td>2</td><td>732376</td><td>4602964</td></tr><tr><td>3</td><td>732407</td><td>4602988</td></tr><tr><td>4</td><td>732407</td><td>4603004</td></tr><tr><td>5</td><td>732406</td><td>4603040</td></tr><tr><td>6</td><td>732411</td><td>4603045</td></tr><tr><td>7</td><td>732414</td><td>4602982</td></tr><tr><td>8</td><td>732408</td><td>4602971</td></tr><tr><td>9</td><td>732388</td><td>4602954</td></tr><tr><td>10</td><td>732371</td><td>4602946</td></tr><tr><td>11</td><td>732328</td><td>4602944</td></tr><tr><td>12</td><td>732283</td><td>4602921</td></tr><tr><td>13</td><td>732250</td><td>4602906</td></tr><tr><td>14</td><td>732228</td><td>4602894</td></tr><tr><td>15</td><td>732197</td><td>4602889</td></tr><tr><td colspan="3">S = 0,58 კა</td></tr><tr><td colspan="3">WGS 1984</td></tr></table>	№	X	Y	1	732176	4602924	2	732376	4602964	3	732407	4602988	4	732407	4603004	5	732406	4603040	6	732411	4603045	7	732414	4602982	8	732408	4602971	9	732388	4602954	10	732371	4602946	11	732328	4602944	12	732283	4602921	13	732250	4602906	14	732228	4602894	15	732197	4602889	S = 0,58 კა			WGS 1984		
№	X	Y																																																					
1	732176	4602924																																																					
2	732376	4602964																																																					
3	732407	4602988																																																					
4	732407	4603004																																																					
5	732406	4603040																																																					
6	732411	4603045																																																					
7	732414	4602982																																																					
8	732408	4602971																																																					
9	732388	4602954																																																					
10	732371	4602946																																																					
11	732328	4602944																																																					
12	732283	4602921																																																					
13	732250	4602906																																																					
14	732228	4602894																																																					
15	732197	4602889																																																					
S = 0,58 კა																																																							
WGS 1984																																																							
4.8	ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან – 70-100 მ.																																																						
4.9	კლიმატური პირობები – ნოტიო, სუბტროპიკული კლიმატი. საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს +13-14 °C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 2000-2400 მმ.																																																						
5	ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები																																																						
5.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან – 30 მ-ში ფიქსირდება გრუნტის გზა																																																						
5.2	მანძილი უახლოესი ხიდიდან – 15 მ (გზების დეპარტამენტის ბალანსზე)																																																						
5.3	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან –																																																						
5.4	დამატებითი მონაცემები – ობიექტიდან 25 მ-ში ფიქსირდება ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელი. აგრეთვე, ობიექტიდან 5 მ-ში გადის საპროექტო მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზი																																																						
6	სატყეო რესურსები																																																						

6.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება
6.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – არ ფიქსირდება
6.3	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები –
7	რაიონის გეოლოგიური პოზიცია
7.1	ტექტონიკური დარაიონება – მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემა, აჭარა-თრიალეთის ზონა, სამხრეთი ქვეზონა, აჭარისწყლის სექტორი
7.2	გეოლოგიური აგებულება – რაიონი აგებულია მესამეული და მეოთხეული ასაკის ნალექებით
8	ობიექტის გეოლოგიური პოზიცია
8.1	გეოლოგიური აგებულება – ობიექტი წარმოდგენილია თანამედროვე მეოთხეული ალუვიური ნალექებით – ქვიშით, ხრეშით და კაჭარ-კენჭნარით. ხრეში და კაჭარ-კენჭნარი კარგად არის დამუშავებული და ხასიათდება სხვადასხვა ფორმებით. ინერტული მასალა შედგება როგორც მაგმური, ასევე დანალექი ქანების ნატეხებისაგან. ქვიშა ძირითადად წვრილმარცვლოვანია, რუხი ფერის.
8.2	მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი – შრისმაგვარი, ფენისებური სხეული.
8.3	მადნიანი სხეულის (სხეულების) გავრცელება (მიმართებით და დაქანებით) – პროდუქტიული წყების გავრცელება ლიმიტირებულია წიაღით სარგებლობის ობიექტის პარამეტრებით.
8.4	მადნიანი სხეულის (სხეულების) სიმძლავრე – სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილების შესაბამისად, მდინარეებზე არსებულ ქვიშა-ხრეშის საბადოებსა და გამოვლინებებზე, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაიცემა 3 მეტრიანი სისქის პროდუქტიული შრის დამუშავების უფლებით. ვინაიდან, წიაღით სარგებლობის ობიექტზე გაიცემა მოკლევადიანი ნებართვა, პროდუქტიული ფენის სიმძლავრედ მიჩნეულია 1 მ.
8.5	მადნიანი სხეულის (სხეულების) წოლის ელემენტი – თარაზულთანახლო.
8.6	დამატებითი მონაცემები –
9	ობიექტის შესწავლის ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-ტექნოლოგიური დახასიათება
9.1	საძიებო ქსელი ძებნა-ძიების სტადიურობის ჩვენებით – არ არის დაძიებული
9.2	საძიებო სამუშაოები – არ არის ჩატარებული
9.3	დასინჯვა – არ არის დასინჯული
9.4	ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევის შედეგები – არ არის განსაზღვრული
9.5	ჰიგიენურ-რადიაციული კვლევა და შედეგები – არ არის შესწავლილი
9.6	სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების სფერო – სამშენებლო საქმეში, ბეტონების შემავსებლად და სამშენებლო ხსნარების დასამზადებლად
9.7	დამატებითი მონაცემები –
10	სასარგებლო წიაღისეულის მარაგები
10.1	ობიექტის დაძიების ხარისხი (სტადია) – არ არის დაძიებული
10.2	ობიექტის ფართობი მარაგების ანგარიშის კონტურში – წიაღით სარგებლობის ობიექტის ფართობია – 0,58 ჰა
10.3	მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრები – ფართობი – 5800 მ ² ; სიმძლავრე – 1 მ.
10.4	მარაგების გამოთვლის მეთოდი – საშ. არითმეტიკული.
10.5	წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით ($A+B+C_1+C_2$ და P) – ობიექტზე ქვიშა-ხრეშის პროგნოზული – P კატეგორიის მარაგებია: $5800 \times 1 = 5800 \text{ მ}^3$.

10.6	თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები – არ არის ფიქსირებული.
10.7	მარაგების გაზრდის ძირითადი მიმართულებები – წიაღით სარგებლობის ობიექტზე შეზღუდულია
10.8	დამატებითი მონაცემები –
11	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების პირობები
11.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების ჰიდროგეოლოგიური და სამთო ტექნიკური პირობები – დამაკმაყოფილებელია.
11.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების მეთოდი – ღია (კარიერული) წესი. ობიექტზე ეკოლოგიური წონასწორობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს მომპოვებელი
11.3	ინფორმაცია ობიექტის ტოპოგრაფიის შესახებ –
12	წიაღითსარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გიზუალური შეფასება
12.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია – წიაღით სარგებლობის ობიექტი (ქვიშა-ხრეში) მდებარეობს აჭარის დაბალმთიან გორაკ-ბორცვიან ზონაში, მესხეთის ქედის სამხრეთ კალთის პერიფერიულ ნაწილში, მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადის მდ. დოლოგანის (მდ. ბზანა) ვიწრო პროფილის მქონე კალაპოტში. წიაღით სარგებლობის ობიექტი ტექნოგენურად სახეცვლილია, ჩატარებულია მდინარის გასწორხაზოვნებითი სამუშაოები. კალაპოტში ფიქსირდება უხეშად დამუშავებული ინერტული მასალის დანაგროვები რაც გამოწვეულია მდინარის წყალმოვარდნითი ხასიათით.
12.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია – ობიექტზე ინერტული მასალა წარმოდგენილია მდინარეული ნალექებით – იშვიათად კაჭარით, კენჭნარით, ქვიშა-ხრეშით და თიხის შემავსებლით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.
12.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია (მდინარეული ქვიშა-ხრეშის შემთხვევაში ნაპირების ეროზია; კალაპოტში წარმოქმნილი ჭარბი აკუმულაცია და სხვა) – გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია.
12.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გეოდინამიკური გართულებები – მოსალოდნელი არ არის.
12.5	გეოდინამიკური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა – მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გაწმენდის და გასწორხაზოვნების მიმართულებით.
12.6	დასკვნები და რეკომენდაციები – 1. წიაღით სარგებლობის ობიექტი (ქვიშა-ხრეში) მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. დოლოგანის ტერიტორიაზე, მდ. დოლოგანის (მდ. ბზანა) ჭალა-კალაპოტში; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას; 3. მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გაწმენდის და გასწორხაზოვნების მიმართულებით; 4. ობიექტიდან მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით – 15 მ-ში ფიქსირდება საავტომობილო უბურჯო ხიდი, ხოლო 25 მ-ში ფიქსირდება ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელი. აგრეთვე, ობიექტიდან 5 მ-ში გადის საპროექტო მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზი. ლიცენზიისაგან გათავისუფლებამდე საკითხები უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურებთან; 5. მითითებული რეკომენდაციების (პუნქტი 3 და 4) გათვალისწინებით, ობიექტზე ინერტული მასალის მოპოვება არ გამოიწვევს არსებული გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.
13	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
13.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – თ. მესხი და სხვ.

13.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – 1965-1970 წწ.
13.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – № 12936
14	გეოსაინფორმაციო პაეტის მომზადების თარიღი – 2018 წლის 8 თებერვალი

შემსრულებლები:

ს. მკალაიშვილი, ნ. ჩომახიძე, დ. პირკულოვი, ზ. ბერიაშვილი, ნ. ბებია, ი. რობაქიძე

შეთანხმებულია:

სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩალათაშვილი